ხელშეკრულება N89
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 01 აპრილი 2015 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის რამაზ ბოლქვაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს „მათემოტორსი", წარმოდგენილი სერვისცენტრის უფროსის დომენტი ჩხეტიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), გამარტივებული შესყიდვის შედეგად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, (კლასიფიკატორის კოდი - 34300000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია: ა/მ სათადარიგო ნაწილები.

1.2. შესყიდვის ობიექტის ოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი N1-ში), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **25** ლარს.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და სტანდარტები

2.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - რეზო ქათამაძე, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2015 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის, ან სასაქონლო ზედნადების გაფორმებით.

4.3. საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - რეზო ქათამაძე.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

5.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

6. ფასები

6.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

6.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

6.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,15 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10. გამოყენებული სამართალი

10.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებლს, ერთი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	შპს „მათემოტორსი“
ტელ: (422) 27-35-10	ტელ: 032 2 18-29-82
მისამართი: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119	მისამართი: ქ. ბათუმი, დაბა ჩაქვი
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „თიბისი ბანკი“	ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“
ბანკის კოდი – TBCBGE22	ბანკის კოდი –REPLGE22
ა/ნ – GE62TB7901736010100015	ა/ნ – GE53BR0000010977968548
საიდენტიფიკაციო კოდი - 245429200	საიდენტიფიკაციო კოდი - 204470063
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი:	სერვისცენტრის უფროსი:
_____ /რ. ბოლქვაძე/ ბ. ა.	_____ /დ. ჩხეტია/ ბ. ა.

დანართი N1

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7
1	ძრავის ზეთის ფილტრი	1	25	25	ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2015 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით	ქალაქი ბათუმი
2						
	ს უ ლ			*25*		

შემსყიდველი:

ხელმოწერა

მიმწოდებელი:

ხელმოწერა